



საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
სოფლის მეურნეობის მინისტრის

N 165
28/12/2016

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ.ბათუმი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – აგროპროექტების მართვის ცენტრის დაფუძნებისა და წესდების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დაფუძნდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - აგროპროექტების მართვის ცენტრი.
2. აგროპროექტების მართვის ცენტრის საქმიანობის ორგანიზაციისა და სტრუქტურის მოწესრიგების მიზნით დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – აგროპროექტების მართვის ცენტრის წესდება, თანახმად დანართისა.
3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელწოდებაა „აგროპროექტების მართვის ცენტრი“ (შემდგომში – აგროპროექტების მართვის ცენტრი).
4. აგროპროექტების მართვის ცენტრი არის წევრთა მდგომარეობისაგან დამოუკიდებელი იურიდიული პირი და მისი მიზანი არ არის სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება.
5. აგროპროექტების მართვის ცენტრის უფლებაუნარიანობა წარმოიშობა მისი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან და წყდება ლიკვიდაციის დასრულების ფაქტის რეგისტრაციის მომენტიდან.
6. აგროპროექტების მართვის ცენტრი შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.
7. აგროპროექტების მართვის ცენტრის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. ბათუმი, გოგებაშვილის ქ. N46^ბ.
8. აგროპროექტების მართვის ცენტრის ელექტრონულ ფოსტად განისაზღვროს: agroproject@moa.ge.
9. აგროპროექტების მართვის ცენტრის დამფუძნებელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო.
10. აგროპროექტების მართვის ცენტრის წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ერთპიროვნულად ახორციელებს და აგროპროექტების მართვის ცენტრის საქმიანობას ხელმძღვანელობას უწევს აგროპროექტების მართვის ცენტრის დირექტორი (შემდგომში – დირექტორი), რომელსაც ერთი

წლის ვადით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრი.

11. აგროპროექტების მართვის ცენტრის დირექტორად დაინიშნოს ჯამბულ აბულაძე, დაბადებული 1967 წლის 10 იანვარს, დაბადების ადგილი: ხულო, მცხოვრები: გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი კრწანისი, ქუჩა მე-6, კორპუსი 18, ბინა 52, პირადი #12001011489, ID ბარათის #13IG67965.

12. აგროპროექტების მართვის ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს გადაწყვეტილებით.

13. აგროპროექტების მართვის ცენტრის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირია სახელმწიფო.

14. აგროპროექტების მართვის ცენტრის საკუთრებას წარმოადგენს მისი საქმიანობის შედეგად შეძენილი ქონება, ასევე მისთვის საკუთრებაში გადაცემული ქონება და ფულადი სახსრები.

15. აგროპროექტების მართვის ცენტრის უფლებამოსილია დასახული მიზნის მისაღწევად დაამყაროს შრომითსამართლებრივი ურთიერთობები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებული საშტატო ნუსხის შესაბამისად.

16. აგროპროექტების მართვის ცენტრის დირექტორის და აგროპროექტების მართვის ცენტრსთან შრომითსამართლებრივ ურთიერთობაში მყოფი პირების თანამდებობრივი სარგოს ოდენობას ითანხმებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

17. აგროპროექტების მართვის ცენტრის ბიუჯეტს ითანხმებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

18. აგროპროექტების მართვის ცენტრის საქმიანობის ზედამხედველობასა და კოორდინაციას ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

19. აგროპროექტების მართვის ცენტრის დირექტორმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ძალაში შესვლიდან 4 (ოთხი) სამუშაო დღის ვადაში კანონმდებლობით დადგენილი წესით აგროპროექტების მართვის ცენტრის მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრაცია და მასთან დაკავშირებული სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელება.

20. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში, მისამართი ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30, ერთი თვის ვადაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

21. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ლამა კომახიძე

ლ. კომახიძე

მინისტრი

**არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის
„აგროპროექტების მართვის ცენტრის“
წესდება**

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. სახელწოდება და იურიდიული მისამართი

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - აგროპროექტების მართვის ცენტრი არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე შექმნილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობას; სოფლის მეურნეობაში კონკურენტუნარიანი და სტაბილური საინვესტიციო გარემოს ფორმირების მიზნით პროექტების, პროგრამებისა და ქვეპროგრამების შემუშავება-განხორციელებას; თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ფერმერული მეურნეობების შექმნის ხელშეწყობას ან/და მის მიერ განხორციელებული პროექტების, პროგრამებისა და ქვეპროგრამების შემთხვევაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის პროცედურებზე მონიტორინგს; სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების/გადამუშავების/რეალიზაციის ქსელის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელთა და მომხმარებელთა კომუნიკაციის გაძლიერების ხელშეწყობას; ინფორმაციული ბანკის შექმნა/სრულყოფას; სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებისათვის ფინანსების მობილიზების მექანიზმების შემუშავებას, არსებული ფინანსური შესაძლებლობების კვლევასა და ანალიზს და სხვა.

2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელწოდებაა: „აგროპროექტების მართვის ცენტრი“ (შემდგომში – აგროპროექტების მართვის ცენტრი).

3. აგროპროექტების მართვის ცენტრის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. ბათუმი, გოგებაშვილის ქ. N46.

4. აგროპროექტების მართვის ცენტრის ელექტრონულ ფოსტად განისაზღვროს: agroproject@moa.ge.

მუხლი 2. აგროპროექტების მართვის ცენტრის სტატუსი

1. აგროპროექტების მართვის ცენტრი არის წევრთა მდგომარეობისაგან დამოუკიდებელი იურიდიული პირი და მისი მიზანი არ არის სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება, გარდა დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობისა, საიდანაც მიღებული მოგება უნდა მოხმარდეს აგროპროექტების მართვის ცენტრის მიზნებისა და ამოცანების რეალიზებას.

2. აგროპროექტების მართვის ცენტრის უფლებაუნარიანობა წარმოიშობა მისი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან და წყდება ლიკვიდაციის დასრულების ფაქტის რეგისტრაციის მომენტიდან.

3. აგროპროექტების მართვის ცენტრი შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.

4. აგროპროექტების მართვის ცენტრი კანონმდებლობითა და ამ წესდებით განსაზღვრული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად საკუთარი სახელით იძენს ქონებრივ და პირად არაქონებრივ უფლებებს, კისრულობს მოვალეობებს, დებს გარიგებებს, საკუთარი სახელით გამოდის მოსარჩელედ და მოპასუხედ სასამართლოში და არბიტრაჟში, აგრეთვე მესამე პირებთან ურთიერთობაში.

5. აგროპროექტების მართვის ცენტრს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ბიუჯეტი, საბანკო და სახაზინო ანგარიშები, ბეჭედი, შტამპი, ბლანკი და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

6. კანონმდებლობითა და ამ წესდებით დადგენილ ფარგლებში აგროპროექტების მართვის ცენტრი ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) წინაშე.

მუხლი 3. აგროპროექტების მართვის ცენტრის მიზნები და ამოცანები

აგროპროექტების მართვის ცენტრის ძირითადი მიზნები და ამოცანებია:

- ა) სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა;
- ბ) სოფლის მეურნეობაში კონკურენტუნარიანი და სტაბილური საინვესტიციო გარემოს ფორმირების მიზნით პროექტების, პროგრამებისა და ქვეპროგრამების შემუშავება-განხორციელება;
- გ) თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ფერმერული მეურნეობების შექმნის ხელშეწყობა ან/და მის მიერ განხორციელებული პროექტების, პროგრამებისა და ქვეპროგრამების შემთხვევაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის პროცედურებზე მონიტორინგი;
- დ) სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების/გადამუშავების/რეალიზაციის ქსელის განვითარების ხელშეწყობა;
- ე) სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელთა და მომხმარებელთა კომუნიკაციის გაძლიერების ხელშეწყობა;
- ვ) ინფორმაციული ბანკის შექმნა/სრულყოფა, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ყველა დაინტერესებული პირისათვის;
- ზ) სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებისათვის ფინანსების მობილიზების მექანიზმების შემუშავება, არსებული ფინანსური შესაძლებლობების კვლევა და ანალიზი;
- თ) დონორი ორგანიზაციების მაქსიმალური ჩართვის ხელშეწყობა სოფლის მეურნეობის განვითარების პროცესებში და მათთან კოორდინაციის უზრუნველყოფა;
- ი) მოსახლეობის და ფართო საზოგადოების სოფლის მეურნეობის დარგის განვითარების პროცესში ჩართვის ეფექტიანი მექანიზმის შემუშავება;
- კ) აგროპროექტების მართვის ცენტრის მიერ დაფინანსებული პროექტების განხორციელების ზედამხედველობა და ასევე აგროპროექტების მართვის ცენტრის მიერ გამოყოფილი ფინანსური სახსრების ხარჯვის კონტროლი;
- ლ) სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით, კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ფუნქციების განხორციელება.

მუხლი 4. აგროპროექტების მართვის ცენტრის უფლება-მოვალეობები

აგროპროექტების მართვის ცენტრი უფლებამოსილია:

- ა) უშუალოდ წარმართოს აგროპროექტების მართვის ცენტრის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობა;
- ბ) აწარმოოს მოლაპარაკებები და დადოს ხელშეკრულებები საქართველოსა და სხვა ქვეყნების ფიზიკურ/იურიდიულ პირებთან და დონორ ორგანიზაციებთან;
- გ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს დამხმარე სახის სამეწარმეო საქმიანობა და ამ საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი მოახმაროს მხოლოდ აგროპროექტების მართვის ცენტრის მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას;
- დ) მონაწილეობა მიიღოს სოციალურ ღონისძიებებში, გამოფენებში, შეხვედრებში, პრეზენტაციებში, კონკურსებში და სხვა;
- ე) მოიძიოს გრანტები;
- ვ) გამოვიდეს მოსარჩელედ ან მოპასუხედ სასამართლოში;

ზ) განიხილოს მოქალაქეთა განცხადებები, წინადადებები და დროულად მიიღოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები;

თ) გამართოს თათბირები, სემინარები და კონფერენციები თავის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე;

ი) განახორციელოს კანონით აუკრძალავი, ამ წესდებით გათვალისწინებული მიზნების შესაბამისი სხვა საქმიანობა.

თავი II. აგროპროექტების მართვის ცენტრის სტრუქტურა და მართვა

მუხლი 5. აგროპროექტების მართვის ცენტრის სტრუქტურა და სტრუქტურული ერთეულების ძირითადი ფუნქციები

1. აგროპროექტების მართვის ცენტრის სტრუქტურული ერთეულებია:

ა) ადმინისტრაციული სამსახური;

ბ) სახელმწიფო შესყიდვების სამსახური;

გ) პროექტების მართვის სამსახური.

2. აგროპროექტების მართვის ცენტრის სტრუქტურული ერთეულების ძირითადი ფუნქციები:

ა) **ადმინისტრაციული სამსახურის** ძირითადი ფუნქციებია აგროპროექტების მართვის ცენტრის საქმიანობისათვის საჭირო ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფა; შემოსული და გასული კორესპონდენციების რეგისტრაცია და მათი შესრულების კონტროლი; აგროპროექტების მართვის ცენტრის საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა; თანამშრომელთა პირადი საქმეების წარმოება, ადამიანური რესურსების მართვისა და ადმინისტრირების უზრუნველყოფა; აგროპროექტების მართვის ცენტრის საფინანსო-საბიუჯეტო ურთიერთობის წარმართვა, აგროპროექტების მართვის ცენტრის ბიუჯეტის პროექტის შემუშავება, აგროპროექტების მართვის ცენტრის საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოება, ფულადი სახსრების ანგარიშსწორებებისა და მატერიალურ ფასეულობათა შეფასება, ინვენტარიზაციის შედეგების განსაზღვრა და აღრიცხვა, აგროპროექტების მართვის ცენტრისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრებისა და სხვა რესურსების ხარჯვისა და განკარგვის კანონიერების, მიზნობრიობისა და ეფექტიანობის კონტროლი; დარგში არსებული მდგომარეობის შესახებ, საზოგადოებისათვის ობიექტური ინფორმაციის მიწოდება, აგროპროექტების მართვის ცენტრის საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა; აგროპროექტების მართვის ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხების კოორდინაცია, ზედამხედველობა და კონტროლი, აგროპროექტების მართვის ცენტრის ბალანსზე რიცხული მატერიალური ფასეულობების დადვისა და მოვლა-შენახვის ორგანიზება, აგროპროექტების მართვის ცენტრის შენობა-ნაგებობებში ხანძარსაწინააღმდეგო წესების დაცვა, სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურად გამართულობის, საწვავით უზრუნველყოფის ორგანიზება, საწვავის გაცემის აღრიცხვა და ხარჯვის კონტროლი, სამუშაო პირობების გაუმჯობესებისა და სრულყოფისათვის ახალი ტექნოლოგიებისა და თანამედროვე ტექნიკის დანერგვის უზრუნველყოფა და სხვა.

ბ) **სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის** ძირითადი ფუნქციებია აგროპროექტების მართვის ცენტრის სახელმწიფო შესყიდვების ორგანიზება; სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის, აგროპროექტების მართვის ცენტრის წლიური შესყიდვების გეგმის შედგენა-კორექტირებისა და კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის (სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში წარდგენის) უზრუნველყოფა; მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების განხორციელების, მათ შორის წლიური

სახელმწიფო შესყიდვის გეგმის შედგენის მიზნით, შესყიდვის ობიექტების, შესყიდვის ობიექტის სავარაუდო მოცულობების, მახასიათებლების, სავარაუდო ფასებისა და შესყიდვის პროცედურების სავარაუდო ვადების განსაზღვრის უზრუნველყოფა; „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების საფუძველზე შესყიდვის საშუალებების შერჩევისა და შესაბამისი დოკუმენტაციის შედგენის, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტების მომზადებისა და დადების უზრუნველყოფა; ზედამხედველობის განხორციელება მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე; შესყიდვის სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებლებზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დარიცხვის უზრუნველყოფა, ხოლო მიმწოდებლის მიერ ნებაყოფლობით გადახდაზე უარის თქმის შემთხვევაში, მასალების შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფში გადაგზავნა შემდგომი რეაგირებისათვის; სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტების (სტატუსის) განთავსების (მინიჭების) უზრუნველყოფა და სხვა.

გ) პროექტების მართვის სამსახურის ძირითადი ფუნქციებია სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით წინადადებების მომზადება; სოფლის მეურნეობაში კონკურენტუნარიანი და სტაბილური საინვესტიციო გარემოს ფორმირების მიზნით პროექტების, პროგრამებისა და ქვეპროგრამების შემუშავება და განხორციელების უზრუნველყოფა; თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ფერმერული მეურნეობების შექმნის ხელშეწყობა ან/და მის მიერ განხორციელებული პროექტების, პროგრამებისა და ქვეპროგრამების შემთხვევაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის პროცედურებზე მონიტორინგი; სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების/გადამუშავების/რეალიზაციის ქსელის განვითარებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელთა და მომხმარებელთა კომუნიკაციის გაძლიერების მიზნით, წინადადებების მომზადება; ინფორმაციული ბანკის შექმნისა და განახლების უზრუნველყოფა; სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებისათვის ფინანსების მობილიზების მექანიზმების შემუშავება, არსებული ფინანსური შესაძლებლობების კვლევა, ანალიზი და შესაბამისი წინადადებების მომზადება; დონორი ორგანიზაციების მაქსიმალური ჩართვის ხელშეწყობა სოფლის მეურნეობის განვითარების პროცესებში და მათთან კოორდინაციის უზრუნველყოფა; მოსახლეობის და ფართო საზოგადოების სოფლის მეურნეობის დარგის განვითარების პროცესში ჩართვის ეფექტიანი მექანიზმის შემუშავებისთვის წინადადებების მომზადება; აგროპროექტების მართვის ცენტრის მიერ დაფინანსებული პროექტების განხორციელების ზედამხედველობისა და ასევე, აგროპროექტების მართვის ცენტრის მიერ გამოყოფილი ფინანსური სახსრების ხარჯვის კონტროლის უზრუნველყოფა და სხვა.

მუხლი 6. აგროპროექტების მართვის ცენტრის ხელმძღვანელობა

1. აგროპროექტების მართვის ცენტრის დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრი (შემდგომში – მინისტრი).

2. აგროპროექტების მართვის ცენტრის დირექტორი:

ა) წარმართავს და ორგანიზებას უწევს აგროპროექტების მართვის ცენტრის საერთო საქმიანობას და პასუხისმგებელია ამ საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტურობაზე;

ბ) სამინისტროსთან შეთანხმებით ამტკიცებს აგროპროექტების მართვის ცენტრის საშტატო ნუსხას და ბიუჯეტს;

გ) მინდობილობის გარეშე წარმოადგენს აგროპროექტების მართვის ცენტრს, გასცემს მინდობილობებს, დებს გარიგებებს;

დ) კანონმდებლობით დადგენილი წესით განაგებს და განკარგავს აგროპროექტების მართვის ცენტრის ქონებას და სახსრებს, მასვე ეკისრება პასუხისმგებლობა აგროპროექტების მართვის ცენტრის სარგებლობასა და საკუთრებაში არსებულ ქონებაზე და ფულადი სახსრების მიზნობრივად და სწორად ხარჯვაზე;

ე) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აგროპროექტების მართვის ცენტრის თანამშრომლებს, საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილი წესით აფორმებს შრომის ხელშეკრულებებს აგროპროექტების მართვის ცენტრის თანამშრომლებთან და დროებით მიწვეულ პირებთან; იღებს გადაწყვეტილებებს აგროპროექტების მართვის ცენტრის თანამშრომელთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ;

ვ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებას;

ზ) შეიმუშავებს და ამტკიცებს აგროპროექტების მართვის ცენტრის შინაგანაწესს;

თ) ამტკიცებს აგროპროექტების მართვის ცენტრის სამუშაო გეგმას, განსაზღვრავს საქმიანობის ძირითად მიმართულებებს;

ი) მინისტრს დასამტკიცებლად წარუდგენს აგროპროექტების მართვის ცენტრის წესდებამი ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ პროექტს;

კ) მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე ქმნის სამუშაო ჯგუფებს (კომისიებს);

ლ) ისმენს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა და სხვათა ინფორმაციას (ანგარიშები) და სამინისტროს მოთხოვნისთანავე წარუდგენს ინფორმაციას (ანგარიშები) აგროპროექტების მართვის ცენტრის საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით.

მ) წესდებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად უფლებამოსილია განახორციელოს სხვა საქმიანობები.

3. აგროპროექტების მართვის ცენტრის დირექტორს ჰყავს სამი მოადგილე, რომლებსაც აგროპროექტების მართვის ცენტრის დირექტორის უფლებამოსილების ვადით, თანამდებობაზე ნიშნავს მინისტრი აგროპროექტების მართვის ცენტრის დირექტორის წარდგინებით, ხოლო თანამდებობიდან ანთავისუფლებს მინისტრი აგროპროექტების მართვის ცენტრის დირექტორის წარდგინებით ან საკუთარი ინიციატივით.

4. აგროპროექტების მართვის ცენტრის დირექტორის მოადგილეების ფუნქციების განსაზღვრა და მათ შორის უფლებამოსილების განაწილება ხორციელდება აგროპროექტების მართვის ცენტრის დირექტორის მიერ.

5. აგროპროექტების მართვის ცენტრის დირექტორის არყოფნისას, უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობისას ან აგროპროექტების მართვის ცენტრის დირექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში აგროპროექტების მართვის ცენტრის დირექტორის მოვალეობას დროებით ასრულებს აგროპროექტების მართვის ცენტრის დირექტორის მიერ წინასწარ განსაზღვრული მისი ერთ-ერთი მოადგილე.

თავი III. ქონება და ფინანსები

მუხლი 7. აგროპროექტების მართვის ცენტრის ქონება, დაფინანსება, ანგარიშგება

1. აგროპროექტების მართვის ცენტრი ფლობს და განკარგავს მისთვის სარგებლობაში გადაცემულ ქონებას, საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

2. აგროპროექტების მართვის ცენტრის საკუთრებას წარმოადგენს მისი საქმიანობის შედეგად შეძენილი ქონება, ასევე მისთვის საკუთრებაში გადაცემული ქონება და ფულადი სახსრები.

3. აგროპროექტების მართვის ცენტრის დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს:

ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;

- ბ) გრანტებით მიღებული სახსრები;
- გ) შემოწირულობები;
- დ) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავლები;
- ე) დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული სახსრები;
- ვ) საქართველოს კანონმდებლობით აუკრძალავი სხვა წყაროებიდან მიღებული სახსრები.

4. ამ მუხლით განსაზღვრული სახსრები კანონმდებლობის შესაბამისად ხმარდება მხოლოდ აგროპროექტების მართვის ცენტრის მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებას; აგროპროექტების მართვის ცენტრის სახსრების სხვა მიზნით გამოყენება დაუშვებელია.

5. აგროპროექტების მართვის ცენტრი ვალდებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი და დასამტკიცებლად წარუდგინოს სამინისტროს.

თავი IV. აგროპროექტების მართვის ცენტრის საქმიანობის ზედამხედველობა

მუხლი 8. საქმიანობის ზედამხედველობა

აგროპროექტების მართვის ცენტრის საქმიანობის ზედამხედველობასა და კოორდინაციას ახორციელებს სამინისტრო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 9. აგროპროექტების მართვის ცენტრის საქმიანობა, რომელიც საჭიროებს თანხმობას

აგროპროექტების მართვის ცენტრმა სამინისტროს თანხმობით შეიძლება განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

- ა) უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და დატვირთვა;
- ბ) სესხის აღება;
- გ) თავდებობა;
- დ) საშტატო ნუსხისა და ბიუჯეტის განსაზღვრა;
- ე) სხვა გადაწყვეტილებების მიღება ქონებასთან დაკავშირებით თუ ისინი სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

თავი V. რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

მუხლი 10. რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

აგროპროექტების მართვის ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება სამინისტროს გადაწყვეტილებით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი VI. წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

მუხლი 11. წესდებაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის წესი

წესდებაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა ხორციელდება მინისტრის ბრძანებით, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
სოფლის მეურნეობის მინისტრი
ლაშა კომახიძე

ლ. კომახიძე